2024 წლის 12 თვის ანგარიში საბიუჯეტო ორგანიზაციის პროგრამის და ქვეპროგრამების შესახებ

შსს საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიცია

(30 02)

(საბიუჯეტო ორგანიზაციის დასახელება, პროგრამული კოდი)

სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა: **თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება.**

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: სახელმწიფო საზღვრის დაცვა - 30 02

პროგრამის განმახორციელებელი – საქართველოს სასაზღვრო პოლიცია

ათას ლარებში

პროგრამულ იკოდი	**დასახელება**	**წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა**	**წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა**	**12 თვის საკასო შესრულება**	**საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში**	**საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთი არსებობის შემთხვევაში)**
30 02	**<u>სახელმწიფო საზღვრის დაცვა</u>**	**154 600,0**	**156 307.3**	**156 290.6**	**99.99 %**	**-**

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონაში, საქართველოს საზღვაო სივრცესა და საქართველოს იურისდიქციას დაქვემდებარებულ გემებზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სამაშველო ოპერაციების განხორციელება ადამიანთა სიცოცხლისა და ქონების გადასარჩენად, საქართველოს საზღვაო სივრცეში მისი სუვერენული უფლებების დაცვა, ზღვაოსნობისა და ნაოსნობის წესების დაცვის კონტროლი, სასაზღვრო პოლიციის სტრუქტურული ერთეულების, რეგიონული სამმართველოებისა და სასაზღვრო სექტორების ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის საზღვრის მართვის, კონტროლის, დაკვირვებისა და ინფორმაციის გაცვლის ტექნოლოგიების განვითარება, სასაზღვრო ინფრასტრუქტურის მოწყობა, სასაზღვრო პოლიციის ხანდაზმული საზღვაო და საჰაერო ფლოტის მოდერნიზება-სტანდარტიზება.

2024 წლის 12 თვის განმავლობაში საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მიერ სახელმწიფო საზღვარზე გამოვლენილი და აღკვეთილი იქნა შემდეგი კანონსაწინააღმდეგო ქმედებები (1434 ფაქტი დაკავებულია 1342 პიროვნება):

- დაწყებულია გამოძიება სისხლის სამართლის 442 საქმეზე, დაკავებულია და ბრალი წაეყენა 350 პირს;

– ადმინისტრაციული სამართალდარღვევა - 992 ფაქტი, დაკავებულია 992 პირი.

2024 წლის 12 თვეში საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მიერ გამოვლენილი სამართალდარღვევების შედეგად, ბიუჯეტის სასარგებლოდ ჯარიმების სახით დაკისრებულმა თანხამ შეადგინა 1 708 248 ლარი .

2024 წლის შსს საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის პროგრამული ბიუჯეტით დაგეგმილია საჰაერო ფლოტის მოდერნიზება და სტანდარტიზება, რომელიც ითვალისწინებს სასაზღვრო პოლიციის საავიაციო პარკის განახლებას:

- 2023 წლის 22 დეკემბერს "ეარბას ჰელიკოპტერს რუმინეთი"-სთან გაფორმებულ N15/3-306 ხელშეკრულების თანახმად, შვეულმფრენს ბორტი GBP-10004 12/1200 საათიანი ტექნიკური ინსპექტირება ჩაუტარდა, რომლის ღირებულება შემცირდა (გამოწვეულია ვალუტის კურსის შემცირებით) და შეადგინა 1.108.445 ლარი;
- ვერტმფრენის საჭის ხრახნის მილისას კაპიტალური რემონტი და სასაზღვრო პოლიციის კუთვნილი ვერტმფრენის საჭის ხრახნის ლოპოტებით დაკომპლექტება/დაბალანსება, რის ღირებულებამ შეადგინა 89.480 ლარი;
- 2022 წლის 19 დეკემბრის N309/1 ხელშეკრულების თანახმად შეძენილია და 2024 წელს მიღებულია ექსპლუატაციაში სამი ერთეული Airbus H145 ვერტმფრენი (GBP-10023, GBP10024 და GBP-10025) და ვერტმფრენის მართვის საკითხებში გადამზადებულია 2024 წელს
  6 მფრინავი და 8 საინჟინრო ტექნიკური პერსონალი, რაზეც გადარიცხულია 2022 წ. - 44.410.590 ლარი და 2024 წ. - 15.078.253 ლარი, დარჩენილია მოსაწოდები ხელშეკრულებით გათვალისწინებული სათადარიგო ნაწილები და სპეცხელსაწყოები საერთო ღირებულებით - 621.747 ლარი.თანხა).

შსს ერთიან კომპიუტერულ ქსელში ჩაირთო 2 (ორი) სასაზღვრო სექტორი - სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის №5 სამმართველოს (ლაგოდეხი) №8 სასაზღვრო სექტორი (გირევი) და №8 სამმართველოს (ჯავა-ონი) №2 სასაზღვრო სექტორი (გონა) და ქსელში ჩართულმა საერთო რაოდენობამ შეადგინა 63 სექტორი (96%).